

## დანართი ქართული ენაზე

წინამდებარე მითითებები ემატება და აზუსტებს IATE-ს (ევროკავშირის საერთო ტერმინოლოგიური ბაზა) სახელმძღვანელო წესებს, რომლებიც განკუთვნილია IATE-ს ინგლისური მასალის შესავსებად.

მოცემული ინფორმაცია არის დალაგებული IATE-ს მასალის ველების თანმიმდევრობით, შემდეგ კი მოცემულია ლიტერატურის დამოწმებათა ველი (იგულისხმება განსაზღვრებების, ტერმინების, კონტექსტის, ენის თავისებურებათა შესახებ შენიშვნების და სხვ. დამოწმების წესები) და განყოფილება ინკლუზიური ენების შესახებ.

### შინაარსი

ენობრივი დონე.....	2
განსაზღვრება.....	2
განსაზღვრების დამოწმება .....	4
შენიშვნა .....	5
სათანადო მასალა .....	5
ტერმინოლოგიური დონე .....	5
ტერმინი .....	5
ტერმინის დამოწმება .....	7
კონტექსტში გამოყენებული ტერმინი.....	7
კონტექსტის დამოწმება .....	7
საძიებელი ფორმები .....	8
დამოწმების წესები .....	8
წყაროები.....	8
ტრაქტატების, კონვენციების, შეთანხმებებისა და სხვ. დამოწმება .....	9
მეორეული კანონმდებლობის დამოწმება .....	9
ოფიციალურ ჟურნალში გამოუქვეყნებელი C სერიის დოკუმენტების დამოწმება .....	10
სასამართლო საქმეების დამოწმება .....	10
წიგნების, ბროშურებისა და ცალკეული PDF ფაილების დამოწმება .....	10
ლექსიკონების, სიტყვარებისა და ენციკლოპედიების დამოწმება .....	10

პერიოდული გამოცემების, სტატიებისა და წიგნის თავების დამოწმება.....	11
საგაზეთო სტატიების დამოწმება .....	11
პრესცნობის (პრესრელიზების) დამოწმება .....	12
სტანდარტების დამოწმება .....	12
პატენტის დამოწმება .....	12
შიდა დოკუმენტების დამოწმება .....	13
ვებგვერდების დამოწმება .....	13
დამოწმება გარემომსახურე სამუშაო ძალის შესახებ .....	14
სახელმძღვანელო ინკლუზიური ენისათვის IATE-ს ერთეულების შესავსებად .....	14
სქესი .....	14

## **ენობრივი დონე**

### **განსაზღვრება**

განსაზღვრება, სადაც შესაძლებელია, უნდა მისდევდეს ჩანაცვლების პრინციპს: რაიმე შესიტყვება უნდა ანაცვლებდეს ტერმინის შესაბამის მეტყველების ნაწილს, (ჩვეულებრივ, არსებით სახელიანი ფრაზა - არსებითი სახელს, ზმნური ფრაზა - ზმნას და ა.შ.) ისე, რომ ის კონტექსტში ზუსტად ანაცვლებდეს ტერმინოლოგიურ ერთეულს. შესიტყვება არ უნდა დაიწყოს არტიკლით, არ უნდა შეიცავდეს დიდ ასოებს სიტყვის დასაწყისში, ძირითად ზმნასა და წერტილს.

განსაზღვრება უნდა შემოიფარგლებოდეს ცნების არსით; ინფორმაცია, რომელიც ამარტივებს ცნების გაგებას, მაგრამ არ განსაზღვრავს მას, „შენიშვნის“ ველს მიეკუთვნება. ამგვარად, „თემთა პალატა“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც: „გაერთიანებული სამეფოს ორპალატიანი პარლამენტის ქვედა პალატა“, მაგრამ ის ცნობა, რომ თემთა პალატა 650 წევრს აერთიანებს, შენიშვნის ველს ეკუთვნის. ნუ გამოიყენებთ განსაზღვრებაში ცვალებად ინფორმაციას, მაგალითად, ისეთი ადამიანის სახელს, რომელიც დროის რაღაც მონაკვეთში იკავებს გარკვეულ ადგილს. უბრალოდ, განზაღვრეთ მისი მოვალეობები.

განსაზღვრება უნდა განასხვავებდეს კონკრეტულ ცნებას და მასთან დაკავშირებულ სხვა ცნებებს. მაგალითად, „მუხის“ „ფოთლოვან ხედ“ განსაზღვრება არ განასხვავებს მას „იფნისა“ თუ „წიფლისაგან“. „უზენაესი სასამართლოს“ განსაზღვრება „ევროკავშირის სასამართლოს შემადგენელი სამიდან ერთ-ერთ ნაწილად“ არ განასხვავებს მას „სასამართლოსა“ და „სპეციალიზებული სასამართლოებისაგან“.

სიფრთხილით მოეკიდეთ ევროკავშირის კანონმდებლობიდან განსაზღვრებების პირდაპირ ამოღებას. ზოგჯერ კონკრეტულ დოკუმენტში მოცემული განსაზღვრება უფრო ვიწროა, ვიდრე ტერმინის ის მნიშვნელობა, რომლითაც ის სხვა დოკუმენტაციებსა თუ წყაროებში გამოიყენება. მაგალითად, ევროკავშირის დირექტივა 2011/24/EU, რომელიც ერთაშორის ჯანდაცვაში პაციენტების უფლებებს ეხება, „პაციენტს“ განსაზღვრავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც სურს მიიღოს ან უკვე იღებს სამედიცინო დახმარებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფარგლებში“. ცნება „პაციენტი“ არ არის ევროკავშირისათვის სპეციფიკური, ამიტომ IATE-სთვის განკუთვნილ განსაზღვრებაში არ უნდა შევიტანოთ ამ დოკუმენტში მოცემული „წევრი ქვეყნების ფარგლებში“.

ამის საპირისპიროდ, IATE-ს ჩანაწერი შეიძლება შეიქმნას სპეციფიკური ცნებისათვის, რომელიც ევროკავშირის წესებშია განსაზღვრული, მაშინაც კი, როდესაც ამ ცნების აღსანიშნავად გამოყენებულ ტერმინს აქვს უფრო ფართო მნიშვნელობაც. უმჯობესია, ასეთ შემთხვევებში შეიქმნას ცალკე ჩანაწერები როგორც თავისებური, ისე ზოგადი ცნებებისათვის, შემდეგ ჩანაწერებს გაუკეთდეს ვიწრო/ფართე დამოწმება, განმარტება კი დაემატოს „შენიშვნის“ ველში თითოეული ჩანაწერისათვის. მაგალითად: IATE:3508577 შეეხება ამ მოწმობას - *the European Certificate of Succession* - რომელიც შედგენილია (EC) No 650/2012 წესის მიხედვით, მაშინ, როცა IATE:885823 შეეხება სამართალმემკვიდრეობის მოწმობის ზოგად ცნებას.

თუკი დოკუმენტში დადასტურებული განსაზღვრება მხოლოდ ამ დოკუმენტის ჩარჩოებს ერგება, მაშინ გამოიყენეთ უფრო ზოგადი განსაზღვრება რაიმე სანდო წყაროდან, ხოლო ევროკავშირისათვის მისაღები განსაზღვრება გაიტანეთ შენიშვნის ველში ან მოიყვანეთ ის საილუსტრაციო ციტატად „კონტექსტში გამოყენებული ტერმინის“ ველში.

იგივე შეიძლება ითქვას სხვა წყაროებზეც. თუკი ბავშვთა დაცვის სააგენტოს შესახებ დაწერილ სტატიაში შეგხვდებით ტერმინი „საქმეთა დამოუკიდებელი ექსპერტი“, შეიძლება ამ ტერმინის განსაზღვრებად ჩავთვალოთ „ბავშვთა დაცვის სააგენტოების საჩივრების სახალხო დამცველი“, თუმცა საიმპირაციო და საბაჟო კონტროლიც განიხილავს სხვა ტიპის სააგენტოების საჩივრებს.

ანალოგიურად, მოერიდეთ ისეთ განსაზღვრებებს, რომლებიც რომელიმე ერთი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი მაშინ, როცა ცნებას შეიძლება უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდეს. მკვეთრად გამოიხსენეთ ერთმანეთისაგან ზოგადი ცნებები (მაგ.: „ორპალატიანი პარლამენტის ქვედა პალატა“) და სპეციფიკური ცნებები, რომლებიც ამ ზოგადი ცნების მაგალითებს წარმოადგენს (მაგ.: „თემთა პალატა“ დიდ პრიტანეთში, „ეროვნული ასამბლეა“ საფრანგეთში, „წარმომადგენელთა პალატა“ ბელგიაში და „წარმომადგენელთა პალატა“ აშშ-ში), გააკეთეთ ერთი ჩანაწერი სამი ზოგადი ცნებისათვის (თუ ეს საჭირო და სასარგებლოა) და ცალ-ცალკე ჩანაწერები ქვეყნებისათვის სპეციფიკური ცნებებისათვის. თუ ცნება არის რომელიმე ქვეყნის ან ევროკავშირისათვის სპეციფიკური, აღნიშნეთ ამის შესახებ ველში, სახელწოდებით „წარმომადგენლობა“.

თუ თქვენი განსაზღვრება შეიცავს ტექნიკურ ტერმინს, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრულია IATE-ს სხვა ჩანაწერში, შესაბამისი ჩანაწერის ინგლისურენოვან ნაწილზე ჩასვით ზებმული, ისე, როგორც ესაა მოცემული „ნიტრიფიკაციის“ განსაზღვრებაში - IATE:3579758:

ჩანაწერის ინგლისურენოვანი<sup>1</sup> ნაწილის ბმულისათვის, დააკოპირეთ მუდმივი ბმული ჩანაწერის მთლიანი გამოსახულების მარცხენა კუთხეში:

ჩასვით იმ ჩანაწერში, რომელსაც ამზადებთ და დაურთეთ ‘en’:

დააჭირეთ ‘OK’. გამოჩნდება შემდეგი გაფრთხილება:

დააჭირეთ ‘Insert anyway’. მექანიკურად მოაშორეთ კონსულტაციის თარიღი, რომელიც ავტომატურად დაიწერება.

[თუკი მუდმივი ბმულის კოპირების ნაცვლად URL-ს დააკოპირებთ მისამართის ველში, შესაძლოა, მისი შეცვლა მოგიწიოთ, რადგამ ის შეიძლება შეიცავდეს მომხმარებლის სესიის თარიღს, რომელიც არ ჩანს მუდმივ ბმულში. მაგალითად: <https://iate.europa.eu/entry/slideshow/1605607344659/1085350/en>]

### **განსაზღვრების დამოწმება**

იხილეთ დამოწმებათა შესახებ ქვემოთ.

თუკი განსაზღვრება სიტყვა-სიტყვითაა გადმოღებული რაიმე წყაროდან, აუცილებელია ამ წყაროს დამოწმება.

თუ განსაზღვრებაში რაიმე შეასწორეთ (არ იგულისხმება ისეთი გარეშე მასალის გამოტოვება, როგორცაა, დამოწმება სქოლიოს სახით), დამოწმება უნდა იყოს შემდეგნაირი:

[მახასიათებელი], [ეფუძნება]: [ორიგინალური წყაროს დამოწმება]

სადაც „[მახასიათებელი]“ არის თქვენი ინსტიტუციის მოკლე დასახელება, რომელსაც ახლავს დეფისი და ენის ან დეპარტამენტის კოდი. მაგალითად: COM-FR, Council-CS, Council-CENTERM და ა.შ. გაითვალისწინეთ, რომ უნდა გქონდეთ საკუთარი განმსაზღვრელი რადგან მომხმარებელი შეიძლება დაიბნეს, თუ მიუთითებთ, რომ ხართ ინგლისური ენის ტერმინოლოგი (EN terminologist), <sup>2</sup>მაშინ, როცა სინამდვილეში არ ხართ.

ეს მიდგომა გამოდგება მაშინაც, თუ განსაზღვრება დაწერეთ თავად: დამოწმება უნდა შეიცავდეს ისეთ ფორმებს, როგორებიცაა COM-FR, Council-ES და ა.შ. თუ მასში იქნება რაიმე ცვლილება ინგლისური ენის ტერმინოლოგი ჩაანაცვლებს თქვენს განმსაზღვრელს თავისი განმსაზღვრელით ან დაამატებს თავის განმსაზღვრელს თქვენ მიერ მითითებულის შემდეგ, მას შემდეგ, როგორც კი ჩანაწერი დადასტურდება.

<sup>1</sup> ქართულენოვანისათვის დაურთეთ ka.

<sup>2</sup> ქართული ენისათვის განმსაზღვრელია KA.

თუ თქვენი განსაზღვრება ეფუძნება ერთზე მეტ წყაროს, ყველა დამოწმება შეიტანეთ „განსაზღვრების დამოწმების“ ერთ ველში, თითოეული დაიწყეთ ტირეთი და პირველი განსაზღვრების წინ დაწერეთ: ‘ ([მახასიათებელი], ეფუძნება):

ესაა მიდგომა, რომელიც შეთანხმებულია ყველა ინსტიტუციის ინგლისური ენის ტერმინოლოგიების მიერ და გამოიყენება იმ პრაქტიკის/პრინციპის ნაცვლად, რომელიც მოცემულია IATE-ს სახელმძღვანელოში და გულისხმობს ყველა დამოწმების ცალ-ცალკე ჩანაწერებით წარმოდგენას. ერთი ველი დამოწმებებისათვის აგვარიდებს იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მასალის ექსელის დოკუმენტისა თუ ტერმინოლოგიური ბაზებისათვის ამოღებისას.

### **შენიშვნა**

გამოიყენეთ ეს ველი ეკონომიურად და შეიტანეთ მასში ის ინფორმაცია ცნების შესახებ, რომელიც, თქვენი აზრით, IATE-ს მომხმარებლებისთვის იქნება სასარგებლო და რომელიც არ წარმოადგენს განსაზღვრების ნაწილს.

არ დაგავიწყდეთ ინფორმაციის წყაროს მითითება შესაბამის ველში, სადაც ეს საჭიროა.

თუ თქვენს შენიშვნაში ნახსენებია ისეთი ცნება, რომელიც უკვე განმარტებულია IATE-ს ჩანაწერებში, შესაძლოა, შენიშვნაში გააკეთოთ ამ ჩანაწერების ინგლისურენოვან ნაწილზე ზებმულები (როგორც ეს განმარტეთ ზემოთ, „განსაზღვრების“ ნაწილში). თუ ამას გააკეთებთ, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჯვარედინი დამოწმებების შესაძლებლობაც ენისაგან დამოუკიდებელ დონეზე, რათა IATE-ს ყველა მომხმარებელმა დაინახოს, რომ ეს კონკრეტული ცნებები ერთმანეთს უკავშირდება, მიუხედავად იმისა, გამოიყენებენ თუ არა ისინი ჩანაწერის ინგლისურენოვან ნაწილს.

### **სათანადო მასალა**

ჩანაწერის შექმნისას, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ვერ მიაგენით საჭირო განსაზღვრებას, დაგეხმარებათ იმ დოკუმენტის ნომრის დამოწმება, რომელშიც გამოყენებულია კონკრეტული ტერმინი, ასევე, ინსტიტუციის სახელწოდებისა და ინტერნეტის ბმულის, თუკი ეს დოკუმენტი საჯარო სახისაა.

აქვე შეგიძლიათ დაიმოწმოთ დამატებითი წყაროებიც (მაგ., ევროკავშირის ძირითადი საკანონმდებლო აქტები, რომლებშიც დასტურდება კონკრეტული ტერმინი), რათა თავიდან ავირიდოთ ტერმინის გადატვირთვა დამოწმებებით: საუკეთესო შემთხვევაში, თითოეულ ტერმინს უნდა ჰქონდეს ერთი ან ორი დამოწმება.

### **ტერმინოლოგიური დონე**

#### **ტერმინი**

დაწერეთ არსებითი სახელები მხოლოდით რიცხვში იმ შემთხვევების გარდა, როცა ტერმინი, ჩვეულებრივ, გამოიყენება მრავლობით რიცხვში.

ნუ გამოიყენებთ არტიკლს, თუ ამის აუცილებლობა არ არის. არ დაიწყეთ სიტყვების წერა მთავრული ასოთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სიტყვა მოითხოვს მთავრულ ასოს გაბმულ ტექსტში.

დაწერეთ ზმნები საწყისის ფორმით, გამოიყენეთ ‘to’.

IATE-ში დამოწმებული ტერმინების უმეტესი ნაწილი არსებითი სახელები ან სახელადი (ნომინალური) წინადადებებია. თუ ტერმინი სხვა მეტყველების ნაწილია (მაგ.: ზმნა, ზმნური ფრაზა, ზედსართავი სახელი, ზედსართავი ფრაზა), **აუცილებელია** მეტყველების ნაწილის მითითება.

(ინგლისურ ენაზე გამოცემული) მართლწერის უწყებათაშორისი და ევროკომისიის ინგლისური ენის მართლწერის სახელმძღვანელო სასარგებლო ინფორმაციას იძლევა მართლწერის დადგენილი წესებისა და მთავრული ასოების გამოყენების შესახებ; თუ ერთი და იგივე ტერმინი ზოგ დოკუმენტში გვხვდება მთავრული ასოთი, ხოლო ზოგში არა, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს შენიშვნის ველში.

უპირატესობა უნდა მიენიჭოს სიტყვათა ბრიტანულ და არა ამერიკულ დაწერილობებს (labour, defence, ionisation, და სხვა.), თუმცა სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში არსებული უწყებების სახელწოდებები უნდა დარჩეს უცვლელად. მაგ.: US Department of Defense; Australian Labor Party. საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც მიჰყევით მათ პრაქტიკას. მაგ.: World Health Organization (ჯანმო). თუ ისევე, როგორც ამ მაგალითში, ორთოგრაფიისა თუ გადატანის წესები განსხვავდება IATE-ს შიდა წესებისგან, მაშინ ამ ორგანიზაციის სახელი მითითებული უნდა იყოს ინგლისური ენის მართლწერის სახელმძღვანელოს პირველ დანართში, IATE-ს ჩანაწერის ბმულთან ერთად. თუ დანართში ვერ იპოვით ამ უკანასკნელს, მოგვწერეთ: DGT-EN-STYLE@ec.europa.eu.

არ გამოიყენოთ განსხვავებული დაწერილობები (მაგ. ‘organisation’ და ‘organization’) პარალელურ ფორმებად: აირჩიეთ ერთი, მათ შორის უპირატესი, და გამოიყენეთ მხოლოდ ის. გააკეთეთ შენიშვნა ენის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელშიც მიუთითებთ, რომ არსებობს ერთი სიტყვის ორი დაწერილობა და ორივე მათგანი სწორია, მაგრამ მიუთითეთ, რატომაა უპირატესი „ტერმინის“ ველში მოცემული ფორმა (მაშინაც კი, თუკი ეს ფორმა არ გამოიყენება „ტერმინების წყაროებში“), მაგალითად, დაიმოწმეთ ევროკომისიის ინგლისური ენის მართლწერის სახელმძღვანელო:

იხილეთ რჩევა [თავის სათაური, მაგ.: ‘hyphens and compound words’ (დეფისები და შედგენილი სიტყვები/კომპოზიტები) ევროკომისიის ინგლისური ენის მართლწერის სახელმძღვანელოში (30.7.2020).

ნუ დაეყრდნობით ინგლისური ენის მართლწერის სახელმძღვანელოში თავების ნუმერაციას, რადგან ის შეიძლება შეიცვალოს.

გამოიყენეთ განსხვავებული ფორმები საძიებელი ფორმების სახით თუკი ისინი არ დასტურდება IATE-ს ფუძის გამოყოფის წესებში.

## **ტერმინის დამოწმება**

იხილეთ დამოწმებების ნაწილი ქვემოთ.

მოერიდეთ ერთზე მეტი დამოწმების გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს აუცილებელია. დამატებითი დამოწმებები (მაგ.; ევროკავშირის იმ ძირითადი საკანონმდებლო აქტებისა, რომლებშიც დადასტურებულია ტერმინი) შეიძლება დაჯგუფდეს „სათანადო/თანდართული მასალის“ ველში, ენობრივ დონეზე.

ტერმინის დამოწმება ადასტურებს იმას, რომ ტერმინი მართებულია სემანტიკური თვალსაზრისით და არა მისი დაწერილობის რომელიმე (ბრიტანული თუ ამერიკული) ვარიანტის შერჩევის გამო. სადაც შესაძლებელია, აირჩიეთ ისეთი წყარო, რომელშიც გამოყენებულია თქვენ მიერ შერჩეული დაწერილობის ვარიანტი, თუმცა დამოწმების შერჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სანდო წყაროს მიუხედავად იმისა, გამოყენებულია თუ არა მასში კონკრეტული ტერმინი თქვენ მიერ შერჩეული ფორმით. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, დაერთოს შენიშვნა ენის გამოყენების შესახებ და განიმარტოს კონკრეტული შემთხვევა.

## **კონტექსტში გამოყენებული ტერმინი**

„კონტექსტში გამოყენებული ტერმინის“ ველი უნდა შეიცავდეს ციტატას რომელიმე გამოცემული წყაროდან და ზედმიწევნით უნდა იმეორებდეს დედანს, მათ შორის, მეთაური ასოებისა და სასვენი ნიშნების გამოყენებას. ხშირად გამოიყენება სიტყვის გაფორმება (მაგ., **გამუქება** და *ასოთა გადახრა*), მაგრამ შეიძლება მათი გამოტოვებაც, თუკი ის ხელისშემშლელია. ასევე შეიძლება სქოლიოს სახით დამოწმებების უგულუბელებოფაც (ისე, რომ ყურადღება არ გამახვილდეს გამოტოვებულის შინაარზე). შეიძლება შეუსაბამო ტექსტების გამოტოვებაც და მათი მრავალწერტილით ჩანაცვლება. ტერმინი გაამუქეთ:

The objectives of the Union shall be achieved ... while respecting the principle of **subsidiarity**.

უმეტეს შემთხვევაში, არაა საჭირო ერთზე მეტი მაგალითის მოყვანა „კონტექსტში გამოყენებული ტერმინის“ ველში ერთი ტერმინისათვის. თუმცა საჭიროებისამებრ შესაძლებელია, მეორე მაგალითის მოყვანაც.

## **კონტექსტის დამოწმება**

იხილეთ დამოწმებათა ნაწილი ქვემოთ.

თუ კონტექსტი უნდა მოიხმოდ იმ დოკუმენტიდან, რომელიც დამოწმებებში უკვე გაქვთ გამოყენებული, დამოწმება კიდევ ერთხელ სრულად ჩასვით შესაბამის ველში.

კონტექსტის შერჩევისას უმთავრესი კრიტერიუმია ის, რომ ტექსტი უნდა გვაძლევდეს საჭირო ინფორმაციას ან ილუსტრაციას ტერმინის გამოყენების შესახებ: წყაროს სანდოობა უკვე შემდეგი კრიტერიუმია. წყაროს სანდოობა უმთავრესია ტერმინის დამოწმების შერჩევისას. თუ შესაბამის კონტექსტს მიაგნებთ სანდო წყაროში, არ ხართ შეზღუდული,

საჭიროებისამებრ, ის ორჯერ გამოიყენოთ. თუ მოიძიებთ ორ ერთნაირად სანდო, სათანადო კონტექსტის შემცველ წყაროს, უკეთესი კონტექსტი აირჩიეთ „კონტექსტში გამოყენებული ტერმინის“ ველისათვის, ხოლო მეორე - „ტერმინის დამოწმების“ ველისათვის.

### **სადიებელი ფორმები**

მიუთითეთ ნებისმიერი ფორმა, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ არ უნდა გამოიყენებოდეს, მათ შორის, გავრცელებული ორთოგრაფიული შეცდომებიც (მაგ., 'accommodation'-ის ნაცვლად - 'accomodation', 'aquaculture'-ის ნაცვლად - 'acquaculture').

აღარ არის აუცილებელი სიტყვათა დაწერილობის ამერიკული ვარიანტების (მაგ.: (e.g. labor, defense, organization), დეფისიანი ფორმებისა თუ მრავლობითის ფორმით გამოყენებული ვარიანტების მითითება, რადგან IATE-ს ფუძის გამოყოფის წესები გულისხმობს, რომ ისინი ავტომატურად უნდა იძებნებოდეს. თუ ეჭვი გეპარებათ, ტერმინის დამატებისა თუ განახლების შემდეგ ცოტა ხანს დაიცადეთ, რათა განახლდეს ძებნის ინდექსი, შემდეგ სცადეთ ტერმინის მოძებნა ჯერ ისეთი დაწერილობით, როგორც გამოყენებულია „ტერმინის“ ველში (იმისათვის, რომ შემოწმდეს, განახლდა თუ არა ძებნის ინდექსი და იძებნება თუ არა ახალი ჩანაწერი), შემდეგ კი მოიძიეთ განსხვავებული ფორმა (იმის შესამოწმებლად, რომ ფუძის გამოყოფის წესები საშუალებას გვაძლევს, ვიპოვოთ ეს ჩანაწერი).

აუცილებლობის შემთხვევაში დაურთეთ ტერმინის დამოწმება კონკრეტული ფორმის წყაროს დასადასტურებლად ან/და შენიშვნა, რომელშიც განმარტავთ, რატომ არ არის ეს ტერმინი ძიებადი ტერმინების ნუსხაში (ტერმინს უნდა ჰქონდეს დართული შენიშვნა, რომ ის მოძველებული ან კუთხურია). ამგვარი შენიშვნები ტერმინოლოგებისთვისაა განკუთვნილი - თუ გსურთ, მომხმარებლებმა ნახონ შენიშვნები, რომლებიც რომელიმე ტერმინის უგულებელყოფას შეეხება, მაშინ, ტერმინი უნდა იყოს ხილული (და არა საძიებელ ფორმად), ან შენიშვნა უნდა ერთვოდეს სხვა ხილულ ტერმინს.

### **დამოწმების წესები**

ინგლისური ენის გამოყენებისას დაცულია სახელმძღვანელოს მეცამეტე ნაწილში მოცემული წესები.

თუ ციტირებული წყარო შეიცავს დამოწმების ინსტრუქციებს, შეადგინეთ დამოწმება მათ მიხედვით, მაგრამ გამართეთ ისინი სათანადო წესებით; მაგალითად, გამოტოვეთ წყაროს ნახვის თარიღი („ნანახია 2020 წლის 30 ივლისს“), რადგან IATE ავტომატურად მიუთითებს შეტანის თარიღს ზეგზულის შემდეგ.

### **წყაროები**

გთხოვთ, არ დაიშუროთ ძალისხმევა სანდო წყაროების მოსაძიებლად ინტერნეტში. მაგალითად, კონტექსტიდან გამომდინარე, შეეცადეთ, გაიხსენოთ საერთაშორისო



ორგანიზაცია, რომელიც კონკრეტულ სფეროში მუშაობს, ან დაათვალიერეთ ვებგვერდები, რომლებიც ეკუთვნის ირლანდიის (ან ბრიტანეთის, ამერიკისა თუ ავსტრალიის) მთავრობებს, მსხვილ ბანკებს, მრავალეროვნულ კომპანიებსა და ა.შ. თუ საჭირო ტერმინი იძებნება რაიმე შეთანხმებაში, დაიმოწმეთ შეთანხმება (თქვენთვის სასურველ სწავა წყაროსთან ერთად). უპირატესობა მიანიჭეთ ოფიციალურ წყაროებს (მაგალითად, სტატიებს რეცენზირებადი ჟურნალებიდან) და არა არაოფიციალურ მასალებს (მაგ.; ბლოგებს, სლაიდ-შოუებს, სალექციო ჩანაწერებს), ასევე, ორიგინალურ წყაროებს (მაგ.; გამომცემლობის კუთვნილ ვებგვერდს) და არა მეორეულ წყაროებს (გუგლის წიგნებსა თუ უფასო ონლაინლექსიკონებს).

### **ტრაქტატების, კონვენციების, შეთანხმებებისა და სხვ. დამოწმება**

ჩაწერეთ სიტყვა „სტატია“ მთლიანად მეთაური ასოებით. პარაგრაფების ნომრები იწერება ფრჩხილებში, სტატიის ნომრიდან დაშორების გარეშე. საკანონმდებლო აქტების დამოწმებისათვის უფრო დაწვრილებით ინფორმაციას ინგლისურ ენაზე იხილავთ ინგლისური ენის მართლწერის სახელმძღვანელოში.

Treaty on the Functioning of the European Union, Article 238(3).

Treaty on European Union, Article 23.

იურისდიქციისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შეთანხმება სამოქალაქო და კომერციული სააქმეებში

Hague Securities Convention, Article 15

International Coffee Agreement 2007, Article 3(1)

Convention implementing the Schengen Agreement, Article 18

### **მეორეული კანონმდებლობის დამოწმება**

მოაშორეთ ზედმეტი ინფორმაცია, ისეთი, როგორცაა დოკუმენტის თარიღი, ინსტიტუციების სახელწოდებები (მაგ., „ევროპის პარლამენტის საბჭო“) და „ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობასთან დაკავშირებული ტექსტი“, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამ ინფორმაციას არ აქვს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა, მაგალითად, იმის გამო, რომ საბჭოს გადაერქვა სახელი საკანონმდებლო აქტების სერიაში, რომლებშიც თითოეულს წინამორბედ აქტში გარკვეული შესწორება შეაქვს. ასეთ შემთხვევაში, აქტის მიღების თარიღს დიდი მნიშვნელობა აქვს.

Regulation (EU) No 1236/2010 laying down a scheme of control and enforcement applicable in the area covered by the Convention on future multilateral cooperation in the North-East Atlantic fisheries

Regulation (EU) No 1236/2010 laying down a scheme of control and enforcement applicable in the area covered by the Convention on future multilateral cooperation in the North-East Atlantic fisheries, Article 8(2)

Implementing Regulation (EU) No 433/2012 laying down detailed rules for the application of Regulation (EU) No 1236/2010 laying down a scheme of control and enforcement applicable in the area covered by the Convention on future multilateral cooperation in the North-East Atlantic fisheries, Annex XI

Commission Communication concerning the Council's position at first reading on the adoption of a Directive on industrial emissions (COM(2010) 67 final)

### **ოფიციალურ ჟურნალში გამოუქვეყნებელი C სერიის დოკუმენტების დამოწმება**

C სერიის დოკუმენტები ხელმისაწვდომია შიდა სისტემაში, vista-ს მეშვეობით (არ იხსნება Chrome-ში). ასევე ისინი ჩამოთვლილია საბჭოს დოკუმენტაციის რეესტრში, საიდანაც საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა, მოითხოვოს მათი ასლები (შიდა მომხმარებლებს მათზე წვდომა აქვთ Vista-ს გამოყენებით). ამ დოკუმენტების ბმულის დამოწმება შეუძლებელია, ამიტომ გამოიყენეთ მხოლოდ მათი სათაურები და ნომრები, მაგალითად:

Implementing Decision C(2019)6764 concerning, in the framework of Article 107e of Directive 2001/83/EC, the marketing authorisations of medicinal products for human use which contain the active substance “eslicarbazepine acetate”

### **სასამართლო საქმეების დამოწმება**

Judgment in *Schempp*, C-403/03, EU:C:2005:446, paragraph 22.

See *section 5.9.3. References to cases before the Court of Justice and the General Court* of the Interinstitutional Style Guide.

იხ. ქვეთავი 5.9.3. *სასამართლოსა და საერთო სასამართლოს საქმეების დამოწმება, უწყებათაშორისი მართლწერის სახელმძღვანელო.*

### **წიგნების, ბროშურებისა და ცალკეული PDF ფაილების დამოწმება**

დამოწმება შედგება:

- (I) ავტორის გვარი და სახელის ინიციალ(ებ)ი (თუ ნაშრომს ჰყავს რედაქტორი, დაწერეთ
- (II) ნაშრომის სათაური გადახრილად;
- (III) გამომცემელი, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი;
- (IV) გვერდების რაოდენობა.

საერთო საცნობარო წყაროს დამოწმებისას, რედაქტორი და გამოცემის ადგილი შეიძლება არ დაიწეროს.

თუ კონკრეტული ნაშრომი მხოლოდ ონლაინით იძებნება, მაშინ ნაშრომის სათაური ზებმულის სახით უნდა ერთვოდეს ონლაინდოკუმენტს.

Butcher, J., *Copy-editing: The Cambridge handbook*, Cambridge University Press, Cambridge, 1975, p. 25.

### **ლექსიკონების, სიტყვარებისა და ენციკლოპედიების დამოწმება**

დაიწყეთ ცალმაგ ბრჭყალში ჩასმული მეთაური სიტყვით, შემდეგ კი მიჰყევით წიგნის დამოწმებისას მოხმობილ მითითებებს, მაგალითად:

‘turtle’, Blood D.C. & Studdert V.P., *Baillière’s Comprehensive Veterinary Dictionary*, Baillière Tindall, London, 1990, p. 945.

ონლაინლექსიკონებისათვის, მეთაურ სიტყვას დაურთეთ ზებმული, თუ არის ლექსიკონის პირდაპირ დამოწმების საშუალება. ბრჭყალებიც მოაქციეთ ბმულში, რათა კონსულტაციის თარიღი, რომელიც ავტომატურად იწერება, მოექცეს ბრჭყალის დახურვის შემდეგ. საერთო წყაროს შემთხვევაში, შესაძლებელია რედაქტორისა და გამოცემის ადგილის გამოტოვება.

თუ მხოლოდ მთელი ნაშრომის დამოწმებაა შესაძლებელი, მაშინ ნაშრომის სათაურს დაურთეთ ზებმული.

დაწერეთ ‘Oxford English Dictionary’ (ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი) მთლიანად და არა შემოკლებით ‘OED’ (მაგრამ თუ იგივე ინფორმაცია შეიძლება ვიპოვოთ Lexico.com-ზე, მიუთითეთ ეს ვებგვერდი, რადგან მასზე წვდომა შესაძლებელია მომხმარებლის ლიცენზიის გარეშე და ეს თანამედროვე ინგლისური ენისათვის უფრო სანდო წყაროა).

### **პერიოდული გამოცემების, სტატიებისა და წიგნების თავების დამოწმება**

დამოწმება შედგება:

- (I) ავტორის გვარი და სახელის ინიციალ(ებ)ი;
- (II) ნაშრომის, სტატიის და ა.შ. სათაური ცალმაგ ბრჭყალში;
- (III) ნაშრომის სათაური გადახრილად; საჭიროების შემთხვევაში, გამოცემის ნომერი და თარიღი;
- (IV) გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, გამოცემის წელი და შესაბამისი გვერდი.

თუ კონკრეტული ნაშრომი მხოლოდ ონლაინით იძებნება, მაშინ ნაშრომის, სტატიის და ა.შ. სათაური ზებმულის სახით უნდა ერთვოდეს ონლაინდოკუმენტს. თუ მხოლოდ მთელი ნაშრომის დამოწმებაა შესაძლებელი, მაშინ ნაშრომის სათაურს დაურთეთ ზებმული.

Hamm, E., ‘Return of the English breakfast’, *International Cuisine*, Vol. X, No 1, Unwin, London, 1980, pp. 31–34.

შენიშვნა: აკადემიურ ციტირებებში ჩვეულებრივ აბრევიატურების სახით გამოიყენება აკადემიური ჟურნალების სახელწოდებები, რადგან ეს ჟურნალები კარგადაა ცნობილი დარგის სპეციალისტებისათვის. თუმცა IATE-ს მომხმარებლები (მთარგმნელები) შესაძლოა არ იცნობდნენ ამ აბრევიატურებს, ამიტომ, გამოიყენეთ ჟურნალის მთლიანი სახელწოდება (მაგ., შეცვალეთ ‘Am J Respir Crit Care Med’ და გამოიყენეთ - ‘American Journal of Respiratory and Critical Care Medicine’).

### **საგაზეთო სტატიების დამოწმება**

დამოწმება შედგება:

(I) ავტორი (თუ სტატიას არ ჰყავს ავტორი, საკმარისია გაზეთის სახელწოდებაც);

(II) სტატიის სათაური ცალმაგ ბრჭყალში

(III) გაზეთის სახელწოდება გადახრილად;

(IV) გამოცემის დღე, თვე და წელი.

თუ კონკრეტული ნაშრომი მხოლოდ ონლაინით იძებნება, მაშინ სტატიის სათაური ზებმულის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ მხოლოდ მთელი ნაშრომის დამოწმებაა შესაძლებელი, მაშინ ნაშრომის სათაურს დაურთეთ ზებმული. ბრჭყალებიც მოაქციეთ ბმულში, რათა კონსულტაციის თარიღი, რომელიც ავტომატურად იწერება, მოექცეს დახურული ბრჭყალის შემდეგ.

თუ მხოლოდ მთელი გაზეთის დამოწმებაა შესაძლებელი, გაზეთის სახელწოდებას დაურთეთ ზებმული.

### ***პრესცნობის (პრესრელიზების) დამოწმება***

დამოწმება შედგება:

(I) პრესრელიზის შემქმნელი ორგანიზაცია;

(II) სათაური ცალმაგ ბრჭყალში;

(III) სიტყვა „პრესრელიზი“, რომელსაც ახლავს კოდი ან ნომერი (არსებობის შემთხვევაში);

(IV) გამოცემის ადგილი და დრო.

### ***სტანდარტების დამოწმება***

დამოწმება შედგება:

(I) სტანდარტის ორგანოს/ინსტიტუციის სახელწოდება;

(II) სტანდარტის ნომერი;

(III) სათაური ცალმაგ ბრჭყალში;

(IV) გამომცემელი

(V) გამოცემის წელი

თუ სტანდარტი მხოლოდ ონლაინით იძებნება, მაშინ სტანდარტის სათაური ზებმულის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ მხოლოდ პირდაპირ დამოწმებაა შესაძლებელი.

British Standards Institution. BS 5950-8:2003. ‘Structural use of steelwork in building: code of practice for fire resistant design’. BSI, 2003.

### ***პატენტის დამოწმება***

დამოწმება შედგება:

- (I) სათაური ცალმაგ ბრჭყალში;
- (II) ავტორი;
- (III) პატენტის ნომერი, რომელსაც ახლავს ‘(Patent)’;
- (IV) გამოცემის წელი.

თუ პატენტი მხოლოდ ონლაინით იძებნება, მაშინ პატენტის სათაური ზებმულის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ მხოლოდ პირდაპირ დამოწმებაა შესაძლებელი.

‘Water soluble and biodegradable self airproof tight closing bag’. Landini L, Chielini E. CN101045489 (Patent) 2007.

**შიდა დოკუმენტების დამოწმება**

შიდა დოკუმენტაციისათვის დამოწმება უნდა შეიცავდეს:

- თქვენი ინსტიტუციის შემოკლებულ სახელწოდებას (მაგ., COM)
- დოკუმენტის ნომერს
- დოკუმენტის სათაურს; თუ დოკუმენტი საიდუმლოა, ნუ გამოიყენებთ მთლიან სათაურს.

M-Internal document: GROW-2016-80000 (Regulation on the making available on the market of fertilising products)

Note on the Organisation of the EU Global Force Generation Conference, Council document 10850/14.

**ვებგვერდების დამოწმება**

განასხვავეთ ერთმანეთისგან ვებგვერდები და ისეთი დოკუმენტები, რომლებიც ონლაინაგაა ხელმისაწვდომი (მაგ., PDF დოკუმენტები). PDF დოკუმენტებისათვის მიჰყევით გაფორმების იმ წესს, რომელიც შეესაბამება დოკუმენტში მოცემული ტექსტის სახეობას, ხოლო დოკუმენტის სათაურზე დაიტანეთ pdf დოკუმენტის ან იმ ვებგვერდის ზებმული, საიდანაც დოკუმენტი ჩამოიწერეთ.

ვებგვერდის დამოწმებისას მიუთითეთ ვებგვერდი, ან ამ ვებგვერდის მფლობელი ორგანიზაცია (ან ორივე), ასევე გვერდი, რომელიც შეიცავს ტერმინს, განსაზღვრებას ან კონტექსტს. გააკეთეთ ისე, რომ სათაური ზებმულით გამოჩნდეს გვერდის ზედა ნაწილში (ან გვერდის მონაკვეთში, თუ შესაძლებელია მისი პირდაპირ გახსნა) და გამიჯნეთ ინფორმაციის ორი ნაწილი ერთმანეთისგან შემდეგი ნიშნებით: ‘> ... >’ რათა გასაგები იყოს, რომ იმოწმებთ ვებგვერდს და არა უშაულოდ დოკუმენტს.

სადაც საჭიროა, გამოიყენეთ ვებგვერდზე ძებნის ისტორია, რათა აჩვენოთ კონკრეტული გვერდის პოზიცია ვებგვერდის მთლიან სტრუქტურაში. ამ პროცესში გამოყავით თითოეული მონაკვეთი ამ სიმბოლოთი: > (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვებგვერდზე ძებნის ისტორიაში გამოყენებულია სხვა სიმბოლო გვერდის ზედა ნაწილში).

**დამოწმება გარემომსახურე სამუშაო ძალის შესახებ**

იმ ადამიანური რესურსის მისათითებლად, რომელიც არ ეკუთვნის თქვენს დეპარტამენტს, დაურთეთ ინფორმაცია, რომელიც საჭირო იქნება ამ სფეროში მომუშავე ადამიანის კომპეტენციის დასადგენად, მაგალითად, სამუშაო ადგილი ან სტატუსი (არაა საჭირო სახელები), იმ დეპარტამენტის ან ორგანიზაციის სახელი, სადაც ისინი მუშაობენ და მათ მიერ გაწეული კონსულტაციის ვადა. მაგალითად:

Terminology Coordinator, Terminology Department, UN Office at Geneva (26.8.2003)

### ***სახელმძღვანელო ინკლუზიური ენისათვის IATE-ს ერთეულების შესავსებად***

ევროკავშირის ძირითად უფლებებთანა ქარტიის 21(1) მუხლის მიხედვით: „უნდა აიკრძალოს ნებისმიერი დისკრიმინაცია, რომელიც ეფუძნება სქესს, რასას, კანის ფერს, ეთნიკურ ან სოციალურ წარმომავლობას, გენეტიკურ თავისებურებებს, ენას, რელიგიას ან რწმენას, პოლიტიკურ ან სხვა ნებისმიერ მოსაზრებას, ასევე, უმცირესობების წევრობას, საკუთრებას, დაბადების ადგილს, უუნარობას, ასაკსა თუ სექსუალურ ორიენტაციას.

IATE-ს ბაზაში ახალი ინგლისურენოვანი ჩანაწერების შეტანისა თუ უკვე არსებულის რედაქტირებისას, ტერმინთა განსაზღვრებებისა თუ მათი კონტექსტების მაგალითების მოყვანისას, მნიშვნელოვანია, **მიუკერძოებელი** ენის გამოყენება, რათა თავიდან ავირიდოთ ადამიანთა ჯგუფის თუ კერძო პირთა დისკრიმინაცია. მოცემული პრინციპები დაგეხმარებათ აირიდოთ თავიდან ისეთი ტერმინები, რომლებიც შეიძლება დამამცირებელი იყოს. თუ დაგჭირდებათ პრიბლემური ტერმინის გამოყენება, დაგეხმარებათ შენიშვნაში მოცემული განმარტება. მაგალითად, ჩანაწერს *chair/chairperson* შეიძლება ახლდეს შენიშვნა, თუ რატომაა ამ ტერმინების ნაცვლად შეუფერებელი ტერმინის 'chairman' გამოყენება.

### ***სქესი***

სცადეთ, გამოიყენოთ, ნეიტრალური ტერმინები, მაგალითად, სიტყვები, რომლებშიც არ არის გამოხატული სქესი და აღნიშნავს ზოგადად ადამიანებს, ქალისა და მამაკაცის მითითების გარეშე. მაგალითად:

chairman → chair/chairperson